

# 1 ოქტომბერი

რიგითი XXVI კვირა [II]

წმ. თერეზა ყრმა იესოსი, ქალწ. და მოძ., +1897, (მ), თ

2021

პარასკევი

ბარ 1,15-22; ფს 78; ლკ 10,13-16

მისიონერთა თვე

ვინც თქვენ გისმენთ,  
მე მისმენს ლკ 10,16

იესო ეუბნება ამას სამოცდათორმეტ მოწაფეს, რომლებიც მან თავის წინ წარგზავნა. ესენი ღლეს არა მხოლოდ ეპისკოპოსები და მისიონერები არიან, არამედ მათ შორის მეც ვარ, იესოს მოწაფე. ღლესაც ჩემი საშუალებით სურს მას უთხრას რამე იმათ, ვისაც ვხვდები, ვისთანაც ვცხოვრობ. მაშ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვუსმინო იესოს. ამგვარად შეძლებს იგი ჩემით საუბარს და მეც შემეძლება შევნიშნო მისი სიტყვა ძმების სიტყვებში.

# 2 ოქტომბერი

რიგითი XXVI კვირა [II]

წმ. მფარველ ანგელოზთა, (მ), [ს], თ

2021

შ ა ბ ა თ ი

გამ 23,20-23; ფს 90; მთ 18,1-5.10

ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს  
ჩემი სახელით, მე მიმიღებს მთ 18,5

დღეს, იესო, მხურვალედ მიწვევ მოქცევისაკენ,  
სპეტაკი გულის, თავმდაბლობის, ბავშვური  
უბრალოების შეძენისაკენ. გვეპატიყები, მივილოთ  
სწორედ ბავშვები, ვინაიდან მათი მფარველი  
ანგელოზნი, მუდამ მამა ზეციერს რომ უმზერენ,  
ზრუნავენ მათზე. გვარწმუნებ, რომ ერთი  
ამათგანის მიღებით, შენ გლებულობთ.

# 3 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირადღე, «ბ», [III], მწ

2021

კვირა

დაბ 2,18-24; ფს 127; ებრ 2,9-11; მარ 10,2-16

რაც ღმერთმა შეაერთა,  
მას კაცი ნუ განაშორებს მარ 10,9

იესო არ გვიტოვებს ორჭოფობის საშუალებას.  
როგორ შეუძლია ადამიანს ჩაშალოს ღვთის  
საქმე? ქალისა და მამაკაცის ქორწინება ღმერთის  
საქმეა, კავშირი, რომელიც სიყვარულში  
ხდება. სიყვარულის სათავე ხომ ყოველთვის  
მამის გულშია. რაოდენ აუცილებელია ლოცვა  
დაქორწინებულ წყვილთათვის და რაოდენ  
აუცილებელია, რომ თავად იყვნენ მუდამ ლოცვაში,  
რათა უერთგულონ ღვთიურ ნიჭს!

# 4 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III]

წმ. ფრანცისკე ასიზელი, +1226, (მ), თ

2021

ორშაბათი

იონ 1,1 - 2,1. 11 ფს: დაბ 2,3-5.8 ლკ 10, 25-37

მ. იან სნეჟინსკის გახსენება (+2011)

## ჩემი უღელი ცკბილია და ჩემი ცვირთი - მსუბუქი მთ 11,30

როდესაც ფრანცისკეს ცხოვრებას ვუყურებთ, ვხედავთ, როგორ ჩამოიბერტყა მან მამამისის მიერ შემოთავაზებული და თავს მოხვეული კეთილდღეობისა და სიმდიდრის „უღელი“. ამის ნაცვლად, იგი შეუდგა იესოს სიტყვის „უღელს“ და ამით ხელი შეუწყო ეკლესიის განახლებას. მრავალი რამ გაიღო მან საამისოდ, თუმცა ბოლოს თქვა: „დიდება შენდა, უფალო, ყველა შენი ქმნილებისათვის“. დიდება შენდა, მამაო ჩემო, შენი სიყვარულისთვის, რომელიც უხვად მიუზღავს შრომისათვის მათ, ვინც ძალისხმევას არ იშურებს შენი სასუფევლის გაცხადებაში.

# 5 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III], მწ

წმ. ფაუსტინა კოვალსკა, მონაზ., +1938

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

იონ 3,1-10; ფს 129; ლკ 10,38-42

რუსთავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

საჭიროა მხოლოდ ერთი რამ ლკ 10,42

იესო ამ სიტყვებს მართას მიმართავს, ბეთანიაში, „კეთილი სამარიელის“ გულუხვობის მოთხრობიდან მცირე ხნის შემდეგ. ამრიგად, იგი დიახ ხაზს უსვამს სხვების მსახურებისა და დახმარების მნიშვნელობას, მაგრამ მხოლოდ ღმერთის მოსმენის შემდეგ.

რომ არ მოხდეს სწორედ ისე, როგორც მართას დაემართა, რომ მხურვალე სტუმართმოყვარეობის შემდეგ იგი კიცხავს საკუთარ დას და თვით იესოს ჰკარნახობს, როგორ მოიქცეს. ეკლესიაში ძმები ეხმარებიან ერთმანეთს იესოს და არა საკუთარი გეგმების მორჩილებაში.

# 6 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III], მწ

წმ. ბრუნო, ბერი, +1101

2021 ოთხშაბათი

იონ 4,1-11; ფს 85; ლკ 11,1-4

მოგვიცევე ჩვენ  
ცოდვები ჩვენი ლკ 11,4

მადლობა, იესო რომ გვასწავლი ლოცვას, იმის აღიარებას, რომ გვესაჭიროება მოტევება და მამისა და ადამიანებისათვის ამ მოტევების თხოვნას. მოგვიწოდებ, რომ გავუწოდოთ მოტევება ჩვენს შეურაცხმყოფელთ. მადლობა, რომ ამგვარად მოგვანიჭებ მშვიდობასა და სიყვარულის ძალას.

# 7 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III]

საგარდის ნეტარი ქალწული მარიამი, (მ), თ

2021 ხუთშაბათი

მალ 3,13-20; ფს 1; ლკ 11,5-13

ახალციხის რაბათის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მძებნელი ჰპოვებს და ვინც  
აკაკუნებს, გაუღებენ ლკ 11,10

იესომ სულ ახლახანს ასწავლა მამაო ჩვენო. მან იცის, რომ სულიწმინდის ნიჭის გარეშე ჩვენ ვერ შევასრულებთ ჩვენს ნათქვამს. იგი გვიწვევს, რომ ეს მამას ვთხოვოთ, დაჟინებით „ვეძიოთ იგი“. ჩვენ მას ვღებულობთ, როდესაც წმიდა წირვაში ვმონაწილეობთ, როდესაც მარტო ვლოცულობთ, როდესაც ერთად ვლოცულობთ საგარდს, როდესაც საკუთარ თავზე ვამბობთ უარს, როდესაც სხვებს ვუძღვნით საკუთარ თავს იესოს სიყვარულისათვის.

# 8 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III], მწ

(25.IX) წმ. არსენ დიდი კათალიკოსი, +887

2021

პარასკევი

იოვ 1,13-15;2,1-2; ფს 9; ლკ 11,15-26

ვინც ჩემთან არა  
კრებს, - ფანჯავს ლკ 11,23

იესო პასუხობს ფარისევლებს, რომლებიც მას აღანაშაულებდნენ „ბელზებულთან“ კავშირში. იგი ფაქტებით პასუხობს. მან განდევნა მუნჯი ეშმაკი და ახლა ის კაცი გამართულად საუბრობს. იესო 'ყველაზე ძლიერია'. ვინც მასთან რჩება, სახლი დაცული ექნება ბოროტის ყოველი შემოტევისაგან, მეტიც, მისი სიცოცხლე უხვ ნაყოფს „მოიმკის“; სიხარულის, მშვიდობის, მოთმინებისა და მისი კურთხევის ნაყოფს.



# 9 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III], მწ

წმ. დიონისე ეპ. და მეგ., წამ., +IIIს.

წმ. იოანე ლეონარდი, ხუც., +1609

2021

შ ა ბ ა თ ი

იოგ 4,12-21; ფს 96; ლკ 11,27-28

მ. პეტრე ხარისჭირაშვილის გახსენება (+1892)

უფალი თავშესაფარია  
თავისი ერისა იოგ 4,16

წინასწარმეტყველი ადასტურებს ღმერთის ერთგულებას, რომელიც ცოდვებისათვის თავისი ერის დამცირების შემდეგ, როდესაც ისინი მოექცევიან და მასთან დაბრუნდებიან, იცავს მათ და ათავისუფლებს მჩაგვრელთაგან. გმადლობთ, მამაო, რომ ასევე ჩვენი, შენი ეკლესიის მიმართ, მოქმედებ მსგავსადვე, შენი ძის იესოს მეშვეობით.

# 10 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირადღე, «ბ», [IV], მწ

2021

კვირა

სიბრძ 7,7-11; ფს 89; ებრ 4,12-13; მარ 10,17-30

## ყველაფერი შესაძლებელია ღმრთისთვის მარ 10,27

იესომ თქვა, რომ შეუძლებელია სიმდიდრეზე მიჯაჭვული ადამიანი შევიდეს მის სასუფეველში, ისევე როგორც შეუძლებელია აქლემი გაძვრეს ნემსის ყუნწში. მაშ, ვიღას შეუძლია შესვლა, ვინლა გადარჩება?

ეს მხოლოდ ღმერთისთვის არის შესაძლებელი და სწორედ ის ანიჭებს მათ, ვინც მის ძეს იესოს მიიღებს, მადლს გამოიყენოს სიმდიდრე სიკეთისათვის, ზაქეს მსგავსად. გმადლობთ, იესო, იმისთვის, რომ ამოვიცანით შენში ძე ღვთისა და ამგვარად გადავრჩით ფულის ტირანიისაგან.

# 11 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

წმ. იოანე XXIII, პაპი, +1963

2021

ორშაბათი

რომ 1,1-7; ფს 97; ლკ 11,29-32

## მადლი თქვენ და მშვიდობა ღმრთისაგან რომ 1,7

პავლე მოციქული სწერს რომის ქრისტიანებს, წარუდგენს მათ რწმუნების სიგელებს და იმ მისიას, რომლისკენაც იქნა მოხმობილი და დალოცავს მათ. ეს ყოველთვის დიდი ნიჭია მათთვის, ვინც მას ღებულობს რწმენით ჩვენი მღვდლების საშუალებითაც.

# 12 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

2021                    ს ა მ შ ა ბ ა თ ი

რომ 1,16-25; ფს 18; ლკ 11,37-41

გაეცით მოწყალეზად, რაც გა-  
გაჩნიათ, და აჰა, ყველაფერი  
წმიდა გექნებათ ლკ 11,41

იესო სადილზე მიიწვია ერთმა ფარისეველმა, რომელიც ცუდს ფიქრობს მასზე, ვინაიდან მან ჭამის წინ ადათისამებრ არ განიბანა ხელები. იესომ იცის, რომ ღვთის წინაშე ფარისეველს ბილწავს სიხარბე, რომლითაც აკრიფა მან ფული დაუცველი ქვრივებისგან. ამრიგად, მოუწოდებს მას გასცეს „მოწყალეზად“ დახვავებული და შემდეგ მისი „წყლით განბანვა“ მის გულსაც გაასუფთავებს, რათა ნამდვილად ილოცოს მამისადმი.

# 13 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], 8წ

2021 ოთხშაბათი

რომ 2,1-11; ფს 61; ლკ 11,42-46

ვაი თქვენდა, ფარისეველნო,  
რომელნიც იხდით მეთედს...  
სამართალს და სიყვარულს კი  
უგულებლყოფთ ლკ 11,42

ფარისეველები ზედმიწევნით იცავდნენ ცხოვრების წესებს, რომლებიც მათ თავად დაიწესეს, მაგრამ იესომ დაინახა, რომ ისინი უგულებლყოფდნენ ღმერთისა და მოყვასის სიყვარულს, ამიტომაც კიცხავდა მათ. ეს საყვედური იყო ნამდვილი სიყვარული. ისინი ყურადღებით იყვნენ საკუთარ თავზე, რათა გამოჩენილიყვნენ სხვებზე უკეთესები და არა უფლის მოსაწონი ყოფილიყვნენ.  
იესო, შემისწორე, თუ ასე ვცხოვრობ, ფარისეველივით!

# 14

# ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], 8წ

(1.X) დღესასწაული კვართისა; წმმ. მირიან და ნანა, IVს.;  
წმ. მელქისედეკ I, კათალიკოს-პატრიარქი, +1033 წმ.  
კალიქსტე I, პაპი და წამ., +222

# 2021

# ხუთშაბათი

რომ 3,21-30; ფს 129; ლკ 11,47-54

მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე

## ნუთუ ღმერთი მხოლოდ იუდეველებსაა? რომ 3,29

ღიას, მჯერა, რომ ყველა ადამიანისთვის ერთი ღმერთია: ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მამა, რომლის მემუეობითაც ვართ დახსნილნი მისდამი რწმენით. ცოდვისგან გათავისუფლებულებს შეგვიძლია შვილებივით ვიცხოვროთ ასეთი მამისთვის. ის ღმერთი, რომელიც არ არის მამა, მაშინაც კი, როცა მას ღმერთს უწოდებენ, არ არსებობს!

# 15 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV]

(2.X) წმ. დიდმოწამენი დავითი და კონსტანტინე, +740 (მ), წ  
წმ. თერეზაავილელი, ქალწ., მოძ., +1582, (მ), თ

2021

პარასკევი

რომ 4,1-8; ფს 31; ლკ 12,1-7

ნუ გეშინიათ იმათი, რომელნიც  
კლავენ ხორცს ლკ 12,4

ეს სიტყვა მაგონებს წმიდა იოზეფ ფრანაღემეცს,  
სამხრეთ ტიროლის მისიონერს ჩინეთში XIX  
საუკუნის ბოლოს, „მოკრივეთა“ აჯანყების დროს.  
მას შემდეგ რაც იგი სოფლის გზის გასწვრივ  
ტალახში ათრიეს, ის, ყველას გასაოცრად,  
ჩამოჯდა გზაზე და განაგრძო იესოს სიყვარულის,  
მისი პატიებისა და წყალობის ქადაგება. მას არ  
„ემინოდა“ მათი, უყვარდა ისინი.

# 16 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

წმ. იადვიგა, მონ., +1243;

წმ. მარგარიტა მარია ალაკოკი, ქალწ., +1690;

წმ. ჯუზეპინა ვანიანი, ქალწ., +1911

2021

შ ა ბ ა თ ი

რომ 4,13.16-18; ფს 104; ლკ 12,8-12

წმ. კამილოს ასულთა დამაარსებელი

მემკვიდრენი ვხდებით  
რწმენისაგან რომ 4,16

როდესაც მწამს იესო, მისი სიკვდილი და აღდგო-  
მა და სიხარულით დავყვები მის სიტყვებს, მაშინ  
ვაგემოვნებ ცათა სასუფეველის მემკვიდრეობას: მის  
მშვიდობას, სრულ სიხარულს, მასთან და ძმებთან  
თანაზიარებას.



# 17 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირალე, «ბ», [I], მწ

2021

კვირა

ეს 53,2.3.10-11; ფს 32; ებრ 4,14-16; მარ 10,35-45

მისიონერთა მსოფლიო დღე, შესაწირი მისიებისათვის

ვინც თქვენში მოისურვებს  
პირველობას, ის იყოს  
ყველას მონა მარ 10,44

იესოს წინაშე დიდობაზე საუბრისას, მაშინვე მახსენდება ერთი ჩვენი ძმა, რომელმაც უკვე მიაღწია მიზანს. როდესაც ის ხედავდა რომელიმე ჩვენგანს მოწყენილსა და სევდიანს, მივიდოდა მის სანუგეშებლად. როდესაც რაიმე რთული დავალება გამოჩნდებოდა, მზად იყო შესჭიდებოდა მას. როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გამო იქმნებოდა დაძაბულობა, ის მზად იყო განემუხტა მდგომარეობა. ის ყოველთვის თავმდაბლობითა და მსახურების სულით უდგებოდა საქმეს.

# 18 ოქტომბერი

წმ. ლუკა, მახარებელი, დ, [ს], წ

(5.X) წმ. ღირსი გრიგოლ ხანძთელი, +861;  
კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი, VIII-IXსს.

2021

ორშაბათი

2ტიმ 4,10-17; ფს 144; ლკ 10,1-9

აჰა, მე გგზავნით თქვენ, როგორც კრავებს მგლებს შორის ლკ 10,3

„ბატკნები“ თავს იცავენ მწყემსის ირგვლივ შემოჯარვით. იგი ხომ ზრუნავს და იღებს ვალდებულებას, „მგლის“ თავდასხმებისგან დაიცვას ნებისმიერი, ვინც მის კვალს შეუდგება. ვევედროთ დღეს ლუკა მახარებელს; მან, ვინც ამ სიტყვის ძალა და ძლიერება განიცადა, უმუამდგომლოს ეკლესიას, რათა უპირველეს ყოვლისა იზრუნოს მისიონერების შინაგან კავშირზე მათ უფალთან.

# 19 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I], მწ

2021

წმმ. იოანე დე ბრეზეფი და ისააკ ყოგი, ხუც. და მეგ., წამ., +XVII ს.;/წმ. პავლე ჯვერისა, ხუც., +1775

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

რომ 5,12.15.17-19.20-21; ფს 39; ლკ 12,35-38

იყავით იმ კაცთა მსგავსნი,  
რომელნიც მოელიან თავიანთ  
ბაჭონს ლკ 12,36

მადლობა, იესო, ამ შენი შეგონებისათვის: მე ის ყოველთვის მჭირდება. მწადია მზად ვიყო შენს მისაღებად იმ ძმებში, რომელთაც მახვედრებ, მოვლენებში, რომლებსაც განმაცდევინებ, შენს სიტყვებში და ბოლოს, სიკვდილის წუთში. გულისყური მომეც, რომ ამოგიცნო, მზაობა მომეც, რომ კარი გაგიღო, მადლობა.

# 20 ოქტომბერი

რივითი XXIX კვირა [1], მწ

2021 ოთხშაბათი

რომ 6,12-18; ფს 123; ლკ 12,39-48

ვისაც ბევრი მიეცა,  
ბევრი მოეკითხება ლკ 12,48

იესოს ეს სიტყვა გამაფრთხილებლად ჟღერს ჩემი მისამართით. მაქვს კი ბუნებრივი ნიჭები, შემწევს კი ძალა ამა თუ იმ საქმის, მსახურების შესასრულებლად საზოგადოებაში, ეკლესიაში? ვმადლობ უფალს და ვცდილობ მიღებული ძალები ჩავდო სიყვარულის მისი სასუფეველისათვის, ყოველთა ნამდვილი სიკეთისათვის.

# 21 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I], მწ

2021 ხუთშაბათი

რომ 6,19-23; ფს 1; ლკ 12,49-53

მოვედი, რათა ცეცხლი  
მოვდო ამ ქვეყანას ლკ 12,49

მადლობა, იესო, რომ მოსულხარ ამქვეყნად სიყვარულის, მიტევების, წმიდა სულის ცეცხლის მოსატანად, შენი სიტყვებით ცხოვრებაში რომ გვეხმარება. ესენია ის ცეცხლი, რომელიც გვინათებს, გვათბობს, გვწმენდს ბოროტისგან.

# 22 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I], მწ

წმ. იოანე პავლე II, პაპი, +2005

2021

პარასკევი

რომ 7,18-25; ფს 118; ლკ 12,54-59

რაცომ თქვენდა თავად  
არ განსჯით, თუ რა არის  
სამართლიანი? ლკ 12,57

ძალზე იოლია მოექცე გვერდით მყოფთა, მედიის, მოვლენების ზედაპირული ხედვების გავლენის ქვეშ. შენ, სულო წმიდაო, მეხმარები, რომ ყოველთვის მახსოვდეს იესო და მისი სიტყვა, მდუმარებაში მოვისმინო შენი რჩევები, რათა ვიცხოვრო მამის ნების შესაბამისად.

# 23 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I], მწ

წმ. იოანე კაპესტრანელი, ხუც., +1456

2021

შ ა ბ ა თ ი

რომ 8,1-11; ფს 23; ლკ 13,1-9

თუკი არ მოექცევით, ყველანი  
მსგავსადვე დაიღუპებით ლკ 13,3

იესოს აცნობეს, როგორ დახოცა პილატემ ზოგიერთი გალილეელები ტაძარში და თვრამეტადამიანს როგორ დაეცა სილოამის კოშკი. წესიერი ხალხის აზრით ეს ბედი ხვდათ წილად მათივე ცოდვის გამო. იესო ამას სხვაგვარად განმარტავს. ამგვარი სიკვდილი, დიახ, უბედურებაა; მაგრამ არ მიიღო იგი, რომელიცაა ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთის ძღვენი, კიდევ უფრო დიდი უბედურებაა.

# 24 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირალე, «ბ», [II], მწ

2021

კვირა

იერ 31,7-9; ფს 125; ებრ 5,1-6; მარ 10,46-52

იგი, ... წამოხცა და  
მივიდა იესოსთან მარ 10,50

ბრმა ბარტიმეოსი არ მოერიდა იმ ხალხს, იესოს რომ ერტყა გარს. მიმართა მას და შესძახა: „დავითის ძეო!“ იგი ბრმა კი იყო, მაგრამ მისი გული კარგად ხედავდა. იესომ მოუხმო მას და მანაც მოისროლა მოსასხამიცა და ხალხის აზრიც. მადლობა, იესო, რომ მეც მომანიჭე ამგვარი გამბედაობა, როცა მომიხმე!



# 25 ოქტომბერი

რივთი XXX კვირა [II], 8წ

2021

ორშაბათი

რომ 8,12-17; ფს 67; ლკ 13,10-17

მ. გაბრიელ ასლანაშვილის გახსენება (+1930)

მიუგო უფალმა და უთხრა მას:  
„თვალთმაქცი...“ ლკ 13,15

მადლობა, იესო, ჩაგრულთა მეგობარო, დასაყრდენო და ქომაგო, შენ მუდამ მამის ნებისამებრ ცხოვრობ; მადლობა შენი შინაგანი სილალისათვის და იმ სიმტკიცისა და ძალისათვის, რითაც შეუსწორებ მათ, ვინც ღვთის სიტყვას არ გებულობს სწორად. შენ არა გსურს, რომ ნიღბიან ჯამბაზებად დავრჩეთ!

# 26 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II], 8წ

2021                   ს ა მ შ ა ბ ა თ ი

რომ 8,18-25; ფს 125; ლკ 13,18-21

თუკი ვიმედოვნებთ იმას, რასაც  
კერ ვხედავთ, მოთმინებით  
მოველით მას რომ 8,25

ჩვენ, ქრისტიანები მამისა და იესოს სიყვარულით  
ვხარობთ და ვიმედოვნებთ, რომ ერთ დღესაც  
პირისპირ შევხვდებით მათ, სამუდამოდ მათთან  
დასამკვიდრებლად. ამჟამად შეგვიძლია დავეხ-  
მაროთ ერთმანეთს ამ მადლის მოლოდინში, იმ  
ურციცხვი სირთულისა და ჯვრის დაძლევიტ, რაც  
გზაზე გვხვდება.

# 27 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II], 8წ

2021 ოთხშაბათი

რომ 8,26-30; ფს 12; ლკ 13,22-30

იღვაწეთ, რათა შეხვიდეთ  
ვიწრო ბჭით ლკ 13,24

მადლობა, იესო, რომ ჩვენი ცნობისწადილის დაკმაყოფილებაზე მეტად მიგვითითებ იმას, რაც არსებითია – ცხოვნების გზას. სწორედ შენა ხარ ხსნა: როცა სიყვარულით გიგონებთ და მოგყვებით, მშვიდობასა და სიხარულში ვრჩებით. შენთან ვიქნებით მაშინაც, როცა ეს რთული იქნება და დაგვცინებენ ან განგვღვენიან.

# 28 ოქტომბერი

წმ. სიმონი და იუდა, მოციქულნი, დ, [ს], წ

2021 ხუთშაბათი

ევ 2,19-22; ფს 18; ლკ 6,12-19

სოხუმის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მათგან აირჩია თორმეცნი, რომელთაც მოციქულნი უწოდა ლკ 6,13

დღეს იესო, თავისი მაგალითით, გვაჩვენებს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ პირადი ცხოვრების, ეკლესიის ან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების წინაშე. იგი ღამეს ლოცვაში ატარებს, შემდეგ კი, ყველა მოწაფეთა შორის, თორმეტ მოციქულს ირჩევს ეკლესიის საფუძვლად. წმიდანნო იუდა და სიმონ, ილოცეთ ჩვენთვის.

# 29 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II], მწ

(16.X) წმ. ღირსი ზენონ იყალთოელი, მონაზონი, VI ს

## 2021 პარასკევი

რომ 9,1-5; ფს 147; ლკ 14,1-6

### ის შეეხო, განკურნა იგი და გაისცუმრა ლკ 14,4

იესო ფარისეველთა მეთაურის სახლშია, ებრაელთათვის წმიდა შაბათ ღღეს. ის მიმართავს მათ უფროსებს და ეკითხება, არის თუ არა ნებადართული იმ ღღეს აგადმყოფის მკურნალობა. ისინი წინააღმდეგნი არიან, მაგრამ არაფერს ამბობენ. იესომ იცის, რომ მამა შაბათსაც აგრძელებს სიყვარულს და სიცოცხლის მონიჭებას, ამიტომ, ყოყმანის გარეშე, კურნავს მას.

# 30 ოქტომბერი

რივთი XXX კვირა [11], მწ

2021

შ ა ბ ა თ ი

რომ 11,1-2.11-12.25-29; ფს 93; ლკ 14,1.7-11

ვინმემ რომ ქორწილში  
დაგპატიეოს, ნუ დაჯდები  
სუფრის თავში ლკ 14,8

რაოდენ გიყვარვართ, იესო! შენ გვასწავლი  
თავმდაბლობას, რომლითაც თავად ცხოვრობ.

მადლობა, რომ ერთ შემთხვევასაც არ უშვებ  
ხელიდან ჩვენს დასამოძღვრად. მსურს შენი რჩევა

მივიღო: ყოველი შენი სიტყვა საჩუქარია,  
კეთილი, საიმედო გზა, მშვიდობის ბილიკი.

პირველი ადგილი ყოველთვის შენია!

# 31 ოქტომბერი

რიგითი XXXI კვირალე, «ბ», [III], მწ

2021

კვირა

რჯლ 6,2-6; ფს 17; ებრ 7,23-28; მარ 12,28-34

## შორს არა ხარ ღვთის სასუფევლისგან მარ 12,34

იესო ამგვარად ასრულებს საუბარს ერთ მწიგნობართან. ის ეთანხმება პასუხს, რომელიც უფალმა გასცა მის კითხვას. სიყვარულის მცნებაა ყველაზე დიდი, ვინაიდან, ვინც მას ასრულებს, ახლოა ღმერთთანაც და ადამიანებთანაც. ვინც უწყის ამას, არაა შორს ღვთის სასუფევლისგან, ხოლო მისი შემსრულებელი უკვე ამ სასუფეველშია, ღვთის ძესთან შეერთებული, რომელიცაა მამის სიყვარულის საჩუქარი!